ვამტკიცებ
სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი
_____ გ. კაკაურიძე
04.01.2017

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის ბაზარზე ზედამხედველობის სამოქმედო გეგმა

შინაარსი

შესავალი

თავი 1. სააგენტოს უფლებამოსილება

თავი 2. ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები

თავი 3. ეკონომიკური ოპერატორები

თავი 4. ურთიერთთანამშრომლობა სააგენტოსა და სსიპ - შემოსავლების სამსახურს შორის

თავი 5. თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან

თავი 6. სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის განმავლობაში ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები

თავი 7. სააგენტოს ყოველკვარტლური სამოქმედო გეგმები

შესავალი

ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელება მოითხოვს შესაბამის ინფრასტრუქტურას, ზედამხედველობის ეფექტური ორგანიზების მეთოდების დანერგვას და ბაზარზე განთავსებულ, ზედამხედველობას დაქვემდებარებულ პროდუქტებთან/ობიექტებთან დაკავშირებული რისკების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის ეფექტური მეთოდების დანერგვას. ამ კომპონენტების ერთიანობა არის არსებითი მომხმარებლების დაცვისა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მუდმივად ცვალებად ინდუსტრიულ და სამომხმარებლო სფეროებში არსებული ცვლილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ეფექტური ფუნქციონირებისთვის ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ნორმატიული ბაზა, რესურსები და ანალიზის შესაძლებლობები უნდა იყოს განახლებადი და ბაზარზე არსებული გამოწვევების ადეკვატური.

ბაზარზე ზედამხედველობა არის ისეთ ურთიერთდამოკიდებული პროცესების ჯაჭვი, როგორიცაა შემოწმება, ნიმუშების აღება, ლაბორატორიული კვლევა, შედეგების ინტერპრეტაცია, რისკების ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება, საფრთხეების ინტერვენცია და მათგან გამომდინარე სამართლებრივი პროცედურები, რომლებიც შეიცავს მაკორექტირებელ ღონისძიებებს ან/და სანქციებს. სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის ბაზარზე ზედამხედველობის სამოქმედო გეგმა არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N641 დადგენილებით დამტკიცებული „სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის“ (შემდგომში - ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა) საფუძველზე შემუშავებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებს.

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის ბაზარზე ზედამხედველობის სამოქმედო გეგმა (შემდგომში - 2017 წლის სამოქმედო გეგმა) მოიცავს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტოს) აუცილებელ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით 2017 წლის განმავლობაში, ასევე, განსაზღვრავს სააგენტოს მხრიდან

გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებს შესაბამისი ვადების მითითებით. სამოქმედო გეგმის დამტკიცებისა და მასში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზანია სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული პროდუქტების ბაზრის ეფექტური ზედამხედველობის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საქართველოს ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსების ხელშეწყობა და საქართველოს კანონმდებლობის კიდევ უფრო დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

თავი 1

სააგენტოს უფლებამოსილება

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA)[1] ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ასევე ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის[2] ფარგლებში ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გასათვალისწინებლად და ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტური სისტემის დანერგვისათვის სააგენტო განახორციელებს ზედამხედველობას ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივებთან დაახლოებული ტექნიკური რეგლამენტებით დაფარულ პროდუქტებზე. დღეისათვის აღნიშნულ პროდუქტებს წარმოადგენს: თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლები (საქვაბე დანადგარი); წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები; წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები; ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობები; ლიფტები.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ მე-3[3] დანართით და ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად, საკანონმდებლო დაახლოებასთან ერთად სააგენტო მომავალში ზედამხედველობას განახორციელებს შემდეგ პროდუქტებზე: დაბალი ძაბვის მოწყობილობები;

---

[1] 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“

[2] სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მხარდაჭერა ეროვნული ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გასაუმჯობესებლად ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. პროექტი N2015/345-105

სათამაშოები; მანქანა დანადგარები; პერსონალური დაცვის მოწყობილობები; სამშენებლო პროდუქტები; აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები; სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები; ფეთქებად გარემოში მომუშავე მოწყობილობები, გაზომვის საშუალებები, არაავტომატური მზომი ხელსაწყოები, სანთელებელი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეცდომაში შემყვანი პროდუქტები.

2017 წლის სამოქმედო გეგმის მე-6 თავში მოცემულია ზემოაღნიშნულ პროდუქტებთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.

თავი 2

ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები

ზედამხედველობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს, როგორც პროდუქტის ნიმუშების ტექნიკური შემოწმების, ასევე პროდუქტთან დაკავშირებული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმების გზით, პროდუქტის რეალიზაციის ადგილებში. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილი უნდა იყოს მოითხოვოს იმ პროდუქტის ნიმუშების მისთვის გადაცემა, რომლის თაობაზეც გააჩნია ინფორმაცია ან/და დასაბუთებული ეჭვი, რომ აღნიშნული პროდუქტი შესაძლოა შეიცავდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს მიმართ. თუმცა, შესაბამის შემთხვევაში, ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილებით გარკვეულ ინდუსტრიულ პროდუქტებს შემოწმება შეიძლება ჩაუტარდეს ადგილზე, ამ შემთხვევაში ეკონომიკურ ოპერატორს უნდა აეკრძალოს ამ კონკრეტული (ინდუსტრიული) პროდუქტის მონტაჟი და ექსპლუატაცია ან/და რეალიზაცია შემოწმების დასრულებამდე. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ბაზარზე ზედამხედველობის ფარგლებში სააგენტოს გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმი, რომლის ეფექტურად განსახორციელებლად აუცილებელია სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან კოორდინირებული მუშაობა.

აღნიშნულის ეფექტურად განსახორციელებლად შემუშავდა და შესაბამის სახელმწიფო უწყებებში განხილვის საბოლოო სტადიაზეა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებების პროექტი რომლის საფუძველზეც:

- სააგენტოს უფლება ექნება, საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს პროდუქტის რეალიზაციის დროებითი შეჩერება, აუკრძალოს პროდუქციის ბაზარზე განთავსება.

- სააგენტოს უფლება ექნება, საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს ბაზრიდან ამოიღოს ან მომხმარებელისაგან გამოითხოვოს დადასტურებული საფრთხის[3] შემცველი პროდუქტები;

- სააგენტოს უფლება ექნება, საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს საშიში ნივთიერებების, ან სხვაგვარი საფრთხის შემცველი ისეთი პროდუქტების განადგურება, შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით, რომელიც გადამუშავების შემდგომ შესაძლოა ინარჩუნებდეს რისკს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან გარემოსათვის;

- საფრთხის აღმოჩენიდან გონივრულ ვადებში, მოხდება ყველა შესაბამისი ზომის მიღება და მომხმარებლების გაფრთხილება საფრთხის შემცველი ნებისმიერი პროდუქტის აღმოჩენის შესახებ, დაზიანებებისა და სხვა საფრთხეების შემცირების მიზნით.

თავი 3

ეკონომიკური ოპერატორები[4]

იმისათვის, რომ ეკონომიკურმა ოპერატორებმა სათანადოდ შეძლონ კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, უნდა იყვნენ ინფორმირებულნი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობებისა და მათი აღსრულების მექანიზმების შესახებ. ამასთან, უნდა მოხდეს იმ პირების იდენტიფიცირება, რომლებიც განზრახ ან გაუფრთხილებლად

[3] ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ნიმუშის ტექნიკური შემოწმების გზით ან/და სხვა გზით მიღებული ინფორმაცია პროდუქტის მოხმარების/ექსპლუატაციის პირობებში ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა ან/და გარემოსათვის საფრთხის შემცველობის შესახებ.

[4] მწარმოებლის, დისტრიბუტორისა და ყველა იმ პირის პასუხისმგებლობა, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსებას.

ახორციელებენ შეუსაბამო და სახიფათო პროდუქტების რეალიზაციას რათა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი დაცულ იქნას ამგვარი პროდუქტებით გამოწვეული რისკებისგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ეკონომიკურ ოპერატორებთან საკონსულტაციო შეხვედრები და დამატებითი კომუნიკაცია, რომლის განმავლობაშიც ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მიიღებენ ინფორმაციას დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ, სააგენტოს კი ექნება შესაძლებლობა მიიღოს ბაზარზე არსებული რისკების შესახებ ინფორმაცია.

თავი 4

ურთიერთთანამშრომლობა სააგენტოსა და სსიპ - შემოსავლების სამსახურს შორის

შემოსავლების სამსახურის, როგორც რისკის შემცველი პროდუქტის შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთი წყაროს როლი მნიშვნელოვანი ბაზარზე ზედამხევდელობის განხორციელებაში. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებების პროექტი მოიცავს შესაბამის ვალდებულებას - იმ შემთხვევაში თუ შემოსავლების სამსახური ფლობს ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული საფრთხის შემცველი პროდუქტის შემოტანის შესახებ, ვალდებულია, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა საფრთხის შემცველი კონკრეტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არ დაშვების შესახებ, და აღნიშნულის შესახებ დაუყონებლივ აცნობებს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს. შესაბამისად ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსა და შემოსავლების სამსახურს შორის თანამშრომლობა აუცილებელია ფუნქციების განაწილებისა და შესაბამის სფეროში არსებული ინფორმაციის გაცვლის მიზნით. ამ მიზნით სააგენტოსა და სსიპ - შემოსავლების სამსახურს შორის 2016 წლის 12 დეკემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ბაზარზე ზედამხედველობის საკითხებს, რომლებთან დაკავშირებითაც ორ სახელმწიფო ორგანოს შორის განხორციელდება თანამშრომლობა.

თანამშრომლობის ეფექტურად განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- მხარეების წარმომადგენლებისგან ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიკრიბება რეგულარულად საქართველოში იმპორტირებული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით.

- მხარეების მიერ ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტურად და პროდუქტიულად განხორციელების მიზნით ერთობლივი ღონისძიებების გატარება;

- ერთობლივი სწავლებების ჩატარება განსახორციელებელი ღონისძიებების უკეთესად კოორდინირების მიზნით.

თავი 5

თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან

შემოსავლების სამსახურის გარდა, ინფორმაციის მოწოდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ასევე პროდუქტის უშუალო მომხმარებელი, შესაბამისად თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან მნიშვნელოვანია. ეფექტური თანამშრომლობისათვის აუცილებელია:

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებისათვის კონსულტაციების გაწევა ახალ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლა რისკის ან/და დადასტურებული საფრთხის შემცველ პროდუქტებთან და მასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით.

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან და სხვაგვარ კავშირებთან მუდმივი კონტაქტი, ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

თავი 6

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის განმავლობაში ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები

მიზანი	ქმედება	განხორციელების ვადა
1. ინსტიტუციური განვითარება	ა) ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სტრუქტურული ცვლილების განხორციელება - ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა და ახალი თანამშრომლების აყვანა.	2017 წლის განმავლობაში
	ბ) ახალი სტრუქტურული ერთეულისათვის დამატებითი საოფისე ფართის მოწყობა და აღჭურვა.	2017 წლის განმავლობაში
	გ) ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კომპიუტერული აღჭურვილობის განახლება;	2017 წლის განმავლობაში
2.შესაძლებლობების გაძლიერება	ა) სახელმძღვანელოების /სამოქმედო ინსტრუქციის	დოკუმენტებზე მუშაობა დაიწყება 2017 წელს
	მომზადება ბაზრის ზედამხედველობის შესახებ შემდეგი მიმართულებით: საბაგირო გზები, ლიფტები, წნევაზე მომუშავე მოწყობილობები, წნევაზე მომუშავე	

	მარტივი ჭურჭლები და საქვაბე დანადგარები	
	ბ) პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის წესის შემუშავება.	2017 წლის განმავლობაში
	გ) სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობის წესის და შემოწმების ოქმის ფორმების შემუშავება.	2017 წლის განმავლობაში
3. ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება	ა) უკვე დაახლოებული 5 ახალი მიდგომის დირექტივით დაფარული სექტორებისათვის რისკის/საფრთხის ანალიზის პროცედურის შემუშავება და დანერგვა	დოკუმენტებზე მუშაობა დაიწყება 2017 წელს
	დ) ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება შემდეგ სფეროებში: წნევაზე მომუშავე მოწყობილობები, წნევაზე მომუშავე მარტივი ჭურჭლები, საქვაბე დანადგარები, ლიფტები, საბაგირო გზები.	2017 წლის განმავლობაში პერმანენტულად
	ე) სააგენტოს ბაზარზე ზედამხედველობის ყოველკვარტალური სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებშიც მითითებული იქნება კონკრეტული ობიექტები, რომლებზეც განხორციელდეა ზედამხედველობა.	2017 წლის განმავლობაში
	ვ) სათანადო ლაბორატორიების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეეძლებათ შესაბამისი ტექნიკური კვლევების ჩატარება	დაიწყება 2017 წელს
4. ცნობიერების	ა) მომხმარებელთა უფლებების	2017 წლის განმავლობაში

ამაღლება/ურთიერთ თანამშრომლობის დამყარება	დაცვის ორგანიზაციებთან და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება ბაზრის ზედამხედველობის ცნობიერების გაზრდის მიზნით	
	ბ) შემოსავლების სამსახურსა და სააგენტოს წარმომადგენლებისგან ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიკრიბება რეგულარულად საქართველოში იმპორტირებული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით.	2017 წლის განმავლობაში
	გ) ბაზარზე ზედამხედველობის საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებში გაწევრიანების შესაძლებლობების ანალიზი	2017 წლის განმავლობაში
	დ) სანთებელებისა და შეცდომაში შემყვანი პროდუქტების რეგლამენტის შესახებ შესაბამისი მეწარმეების ინფორმირება, რომ 2018 წლიდან განხორციელდეს ეფექტური ზედამხედველობა	2017 წლის განმავლობაში
5. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპის ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივებთან	ა) საქართველოს ტექნიკური რეგლამენტების დაახლოება 2014/34/EU დირექტივასთან, რომელიც ეხება პოტენციურად ფეთქებად გარემოში გამოსაყენებელ მოწყობილობებსა	2017 წლის განმავლობაში

	და დამცავ სისტემებს;	
	ბ) საქართველოს ტექნიკური რეგლამენტების დაახლოება 2011 წლის 9 მარტის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 305/2011 რეგულაციასთან, რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქციის მარკეტინგის ჰარმონიზებულ პირობებს.	2017 წლის განმავლობაში
	გ) 3 ახალი მიდგომის დირექტივების შესაბამისად შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტების (ლიფტის უსაფრთხოების შესახებ; წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები შესახებ; თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების შესახებ) სრულყოფა კონსოლიდირებულ ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით.	2017 წლის განმავლობაში

თავი 7

~~სააგენტოს ყოველკვარტალური სამოქმედო გეგმები~~

2017 წლის სამოქმედო გეგმის მე-6 თავით გათვალისწინებული ვალდებულებების საფუძველზე, 2017 წლის განმავლობაში სააგენტო შეიმუშავებს ბაზარზე ზედამხედველობის ყოველკვარტალურ სამოქმედო გეგმებს. გეგმებს საფუძვლად დაედება ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე რისკის ანალიზი.

ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული იქნება პრიორიტეტული პროდუქტები, ასევე, შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორები. ყოველკვარტალურ გეგმებში მითითებული იქნება კონკრეტული ობიექტები, რომლებზეც განხორციელდება ზედამხედველობა. სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლები ზედამხედველობის ფარგლებში ადგილზე განახორციელებენ ბაზარზე განთავსებული პროდუქტების/ობიექტების ტექნიკურ ინსპექტირებას და შეისწავლიან შესაბამისობის შეფასების კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებს. ყოველკვარტალურ გეგმებს დაერთვება ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე შედგენილი შემოწმების კითხვარები.